



პანტომიმის სახელმწიფო თეატრი

შესავალი:

პანტომიმის თეატრი მისმა უცვლელმა ხელმძღვანელმა ამირან შალიკაშვილმა დააარსა 1961 წელს. 1965 წელს დიდ სცენაზე ჩატარდა პირველი პრემიერა სპექტაკლისა „ესეც ასე“ ამ დღიდან ქართულმა საზოგადოებამ გაიცნო პანტომიმის ჟანრი:

- 1976 წელს პანტომიმის თეატრს მიენიჭა სახელმწიფო სტატუსი (საქართველოს სახელმწიფო პანტომიმის თეატრი) მოხდა აღიარება სახელმწიფოს მიერ, და აკადემიური სტატუსის მინიჭება;
- 1978 წელს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა პანტომიმის ფაკულტეტი

ქართული პანტომიმის ხელოვნება გამოირჩევა ევროპისა და მსოფლიოს პანტომიმისგან. ჩვენი, ამირან შალიკაშვილის ხელწერა სადაც მკაფიოდ ჩანს ქართული სტილი განსხვავებულია. ჩვენი საგანმანათლებლო სპექტაკლები ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძელი“ „ტერენტი გრანელი“ „ვეფხისტყაოსანი“ და სხვა ხშირად ხვდება სკოლების პროგრამაში. ჩვენი პროდუქტი არის ინტელექტუალური, შემეცნებითი და ასევე ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას ემსახურება.

ჩვენი რეპერტუარია: უკვდავ ქართულ ნაწარმოებებზე აგებული სპექტაკლები. თეატრს მიღებული აქვს 7 გრავრი და ასევე უამრავი დიპლომები და საგასტროლო ჯილდოები

საქართველოში ისევე როგორც მსოფლიოში თეატრს გააჩნია **ბიზნეს პროექტები** ეს არის გრიმით/მაკიაჟით მომსახურება და საკარნავალო და სხვა კოსტუმების ქირავნობა. ჩვენი შემოქმედებითი სპეციფიკიდან გამომდინარე თითქმის ყველა თეატრი სარგებლობს ჩვენი რესურსით

თეატრს გააჩნია სტუდია , ახალგაზრდა თაობის მოზიდვა სწავლებების მიზნით

თეატრის დამატებითი შემოსავლის წყაროებია: პანტომიმის ფესტივალი, შალიკაშვილის სერთიფიკატი, სამკერვალო-სადურგლო, ივენთ კომპანიებთან თანამშრომლობა, ფიტნეს დარბაზი, თეატრალური კაფე.

ჩვენ:

ჩვენს თეატრში გაზრდილმა თაობებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში, ეს ფაქტი უფრო წარმატებულს ხდის ამირან შალიკაშვილს სტილს

თეატრალურ უნივერსიტეტი, პანტომიმის ფაკულტეტი;

თეატრის სტუდია

#ჩვენვაშენებთთეატრს

ევროპის პანტომიმის და პლასტიკის საერთაშორისო ცენტრი საქართველოში

მიზნები:

თეატრის, აგრეთვე ზოგადად ხელოვნების პოპულარიზაცია;

მაყურებელთა მოზიდვა;

სამართლებრივი საკითხების მოგვარება თეატრის შენობასთან დაკავშირებით;

ქუთაისის და ბათუმის უკვე არსებობული პანტომიმის თეატრების განვითარება

პანტომიმის ფაკულტეტის აღდგენა;

პანტომიმას მსოფლიოში ცნობილი სახეების მოწვევა, მათ მიერ საქართველოში ჩატარებული მასტერკლასების ფართე მასებში გატანა;

ამირან შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის საერთაშორისო, ყოველწლიური ფესტივალის გამრავალფეროვნება, გაკვეთილები რომელიც ლაივის მეშვეობით ჩატარდება.

უსიტყვო სერიალის გადაღება

პრობლემა:

წლებია თეატრის გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს სამართლებრივი საკითხი, რომელიც ეხება ათწლეულების განმავლობაში თეატრის საკუთრებას, მდებარე თბილისში რუსთაველის გამზ. 37 (აზარიანცის სახლი).

მიმდინარედ - საჯარო რეესტრსა და ეკონომიკის სამინისტროში წარდგენილია შესაბამისი დოკუმენტაცია საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით, საკითხზე ინფორმირებულია თბილისის მერი დავით ნარმანია, პირადად დაგვიპირდა დახმარებას, რის შემდეგაც გააქტიურდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო, რომლებმაც ითხოვეს მცირე დრო საკითხის გადასაწყვეტად. ვართ მოლოდინის რეჟიმში, მზად ვართ სამართლებრივად დავადასტუროთ ჩვენი უფლებრივი უპირატესობა თეატრის შენობაზე.

„სიტყვა ვერცხლია და დუმილი ოქრო“

„საგანმანათლებლო, საბავშვო, სოციალური, გასართობი, კლასიკური, შემეცნებითი, თანამედროვე“ ერთ სივრცეში!!!

#ჩვენვაშენებთთეატრს